თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 29 ოქტომბრის დისტანციური სხდომის

ო ქ მ ი N 5

2021 წლის 29 ოქტომბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე;** ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **2021 წლის სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული წლიური თემების შესრულების მდგომარეობა და მონიტორინგი;**
2. **ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;**
3. **დავით ჭითანავას ნაშრომისათვის - „ზედაშეს კულტუტრა საქართველოში“ - რეცენზენტების გამოყოფა (დანართი);**
4. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. 2021 წლის სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული წლიური თემების შესრულების მდგომარეობა და მონიტორინგი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: განვიხილოთ, თუ როგორ მიმდინარეობს 2021 წლის სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება განყოფილებებში და მისი მონიტორინგის საკითხი. შესრულების საკითხზე მეტ–ნაკლებად ვიცით როგორი მდგომარეობაა, სამეცნიერო საბჭოს წინა სხდომაზე ამაზე უკვე ვისაუბრეთ. დღევანდელ შეხვედრაზე გვინდა განვსაზღვროთ, თუ როგორ განვახორციელოთ მონიტორინგი. გასულ წელს შემუშავებული იყო კრიტერიუმები, როგორია წელს სამეცნიერო საბჭოს დამოკიდებულება ამ კრიტერიუმების მიმართ?

გიორგი ჭეიშვილი: ვფიქრობ, რომ სასურველი იქნება შევინარჩუნოთ შარშანდელი ფორმატი. მოგეხსენებათ, კოვიდექსპერტები ვირუსის გავრცელების მეხუთე ტალღას წინასწარმეტყველებენ და, როგორ გაგრძელდება ჩვენი შემდგომი მუშაობა არ ვიცით, ამიტომ კვლავ მივანდოთ განყოფილებების გამგეებს, წერილობით წარმოგვიდგინონ თავიანთ განყოფილებაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშები. მომავალი წლის 15 იანვრისთვის უნივერსიტეტში უნდა იყოს ჩაბარებული ინსტიტუტის მიმდინარე წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, ამდენად განყოფილების გამგეების წერილობითი ანგარიში ინსტიტუტის კანცელარიაში ჩაბარებული უნდა იყოს დეკემბრის ბოლოს.

ლავრენტი ჯანიაშვილი: რა თქმა უნდა, განყოფილებების გამგეები წარმოადგენენ წლიური თემების მოსმენის გრაფიკს, თავიანთ თანამშრომლებთან შეხვედრებს ჩაატარებენ ზუმის ფორმატით, წარმოადგენენ განყოფილებების ანგარიშებს, მაგრამ, როგორ მოხდება ინსტიტუტის მხრიდან მონიტორინგი? დავთქვათ ვადები: წლიური თემების მოსმენა განყოფილებებში მოხდეს წლის ბოლომდე; განყოფილებების გამგეების ანგარიში ინსტიტუტის კანცელარიაში ჩაბარებული უნდა იყოს დეკემბრის ბოლოს; უნივერსიტეტში წარსადგენი სამეცნიერო მუშაობის ანგარიში მომზადდეს მომავალი წლის 15 იანვრამდე, ხოლო დასრულებული წლიური თემების ჩაბარება მოხდეს 2022 წლის იანვრის ბოლოს.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, ქეთევან ხუციშვილმა, ლიანა ბითაძემ და სხვა.

დაადგინეს: **შენარჩუნდეს მონიტორინგის არსებული ფორმატი; წლიური თემების მოსმენა განყოფილებების სხდომებზე დისტანციურად მოხდეს დეკემბრის ბოლომდე; განყოფილებების გამგეებმა ანგარიში ინსტიტუტის კანცელარიაში წარადგინონ წლის ბოლოს; უნივერსიტეტში წარსადგენი სამეცნიერო მუშაობის ანგარიში მომზადდეს მომავალი წლის 15 იანვრამდე, ხოლო დასრულებული წლიური თემების ციფრული ვერსიის ჩაბარება კანცელარიაში მოხდეს 2022 წლის იანვრის ბოლოს.**

მოისმინეს:

2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება.

გიორგი ჭეიშვილი: მიმდინარე წელს სრულდება საიუბილეო თარიღი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დაარსებიდან. სურვილი გვაქვს, ღონისძიება აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩავატაროთ დეკემბრის პირველ ნახევარში. ეს არ იქნება სამეცნიერო ღონისძიება, უფრო საიუბილეო სახეს მიიღებს. ვიმსჯელოთ, ჩამოვაყალიბოთ გარკვეული ფორმატი, რა სახე მივცეთ.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლიანა ბითაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, დოდო ჭუმბურიძემ და სხვა.
გამოითქვა მოსაზრება, რომ გართულებული ეპიდემიური სიტუაციის გამო, გადაიდოს საიუბილეო ღონისძიების ჩატარება მომავალი წლის გაზაფხულისათვის. წლის ბოლომდე მომზადდეს და გამოიცეს საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სტატია. გამოიცეს საგაზეთო პუბლიკაცია. დაევალოს ბატონ ავთანდილ სონღულაშვილს მოამზადოს მასალები საიუბილეო ბუკლეტისათვის და სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს მონახაზი. დაევალოთ განყოფილებების გამგეებს მიაწოდონ ბატონ ავთანდილ სონღულაშვილს ინსტიტუტის განყოფილებების შესახებ მოკლე ისტორია.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ვუყაროთ კენჭი, რომ ინსტიტუტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გადაიდოს მომავალი წლის გაზაფხულზე და ბ-ნ ავთანდილ სონღულაშვილს დაევალოს საიუბილეო ბუკლეტისათვის მასალის მომზადება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე - 11 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ინსტიტუტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გადაიდოს მომავალი წლის გაზაფხულზე. ბ-ნ ავთანდილ სონღულაშვილს დაევალოს საიუბილეო ბუკლეტისათვის მასალის მომზადება.

მოისმინეს:

3. დავით ჭითანავას ნაშრომისათვის - „ზედაშეს კულტუტრა საქართველოში“ - რეცენზენტების გამოყოფა (დანართი).

ლავრენტი ჯანიაშვილი: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“, გაიმარჯვა დავით ჭითანავას ნაშრომმა - **„ზედაშეს კულტურა საქართველოში**“. სამეცნიერო საბჭოს სახელზე შემოვიდა ბ-ნ დავით ჭითანავას განცხადება თხოვნით – ნაშრომისათვის გამოიყოს რეცენზენტები (დანართი). წიგნის რედაქტორი გახლავთ გიორგი მამარდაშვილი. ავტორს სურვილი აქვს რეცენზენტები იყვნენ ქალბატონი ნინო მინდაძე და მე (ლავრენტი ჯანიაშვილი). წიგნი უნდა გამოიცეს დეკემბრის ბოლოს.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლიანა ბითაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ნინო მინდაძემ და სხვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ვუყაროთ კენჭი, რომ დავით ჭითანავას ნაშრომისათვის - „ზედაშეს კულტურა საქართველოში“ გამოიყოს რეცენზენტები: ნინო მინდაძე და ლავრენტი ჯანიაშვილი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე - 11 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დავით ჭითანავას ნაშრომისათვის - „ზედაშეს კულტურა საქართველოში“ გამოიყოს რეცენზენტები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: ნინო მინდაძე და ლავრენტი ჯანიაშვილი.

მოისმინეს:

4. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: მინდა ცნობის სახით მოგაწოდოთ ინფორმაცია, DOI კოდის შესახებ. უნივერსიტეტმა შეისყიდა DOI კოდები. შესაძლებელია ყველა სტატიის ავტორმა მიიღოს ინდივიდუალური DOI, მაგრამ ამაში გადასახდელი იქნება 40 ლარი. სამწუხაროდ, ინსტიტუტი ამ თანხების გადახდას ვერ შეძლებს. გთხოვთ, განყოფილებების გამგეებს, ეს ინფორმაცია მიიტანონ ყველა თანამშრომლამდე. კოდების აღება ნებაყოფლობითია, თანამშრომლები თვითონ გადაწყვეტენ, უნდათ თუ არა თავიანთი სტატიებისათვის DOI კოდის მიღება. სურვილის შემთხვევაში, უნდა მიმართონ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

მეორე ინფორმაცია არის კრებულების განთავსება საერთაშორისო ბაზებთან თანხვედრილ პლატფორმაზე რაზეც უნდა ვიფიქროთ. კრებულს არ ექნება DOI კოდი, მისი განთავსება აღნიშნულ პლატფორმაზე, აგრეთვე ფასიანი იქნება და ეღირება 650 ლარი.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლიანა ბითაძემ და სხვა.

დაადგინეს: **ეთხოვოს ბიბლიოთეკის გამგეს, ბატონ შალვა გლოველს, მოიძიოს ინფორმაცია ამ საკითხზე და სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს.**

სხდომამ დაადგინა:

1. **შენარჩუნდეს მონიტორინგის არსებული ფორმატი; წლიური თემების მოსმენა განყოფილებების სხდომებზე დისტანციურად მოხდეს დეკემბრის ბოლომდე; განყოფილებების გამგეებმა ანგარიში ინსტიტუტის კანცელარიაში წარადგინონ წლის ბოლოს; უნივერსიტეტში წარსადგენი სამეცნიერო მუშაობის ანგარიში მომზადდეს**

მომავალი წლის 15 იანვრამდე, ხოლო დასრულებული წლიური თემების ციფრული ვერსიის ჩაბარება კანცელარიაში მოხდეს 2022 წლის იანვრის ბოლოს.

2. ინსტიტუტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გადაიდოს მომავალი წლის გაზაფხულზე. ბ-ნ ავთანდილ სონღულაშვილს დაევალოს საიუბილეო ბუკლეტისათვის მასალის მომზადება.
3. დავით ჭითანავას ნაშრომისათვის - „ზედაშეს კულტურა საქართველოში“ გამოიყოს რეცენზენტები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: ნინო მინდაძე და ლავრენტი ჯანიაშვილი.
4. ეთხოვოს ბიბლიოთეკის გამგეს, ბატონ შალვა გლოველს, მოიძიოს ინფორმაცია ამ საკითხზე და სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

29. 10. 2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ.
ლავრენტი ჯანიაშვილს, ამავე ინსტიტუტის
ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის
უფროსი მეცნიერი-თანამშრომლის
დავით ჭითანავას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა:

მოგახსენებთ, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა სახელწოდებით ,,ზედაშეს კულტურა საქართველოში'' (გრანტის ნომერი-NSP-21-656. ხელმძღვანელი-დავით ჭითანავა, კოორდინატორი-იოსებ შენგელია). პროექტის ხანგრძლივობა არის ექვსი თვე და ის უნდა დასრულდეს 2021 წლის 23 დეკემბერს. წიგნის რედაქტორი გახლავთ ისტორიის დოქტორი-გიორგი მამარდაშვილი. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ დამინიშნოთ წიგნის რეცენზეტები ეთნოლოგიის მიმართულებით.

პატივისცემით: დ. ჭითანავა

12. 10. 2021.